

140
1949

საქართველოს
საქართველოს
საქართველოს



საქართველოს



1949
დაბადების
21
ოთხშაბათი
70 წელი
ი.ბ. სტალინის დაბადებამდე.

დიდება

დიდება მარად შენს სახელს,
შენს საქმეს მარად დიდება!
მზე შენგან მონათებული
არასდროს დაგვებინდება.

მისი საქვეყნო კაშკაში
შენმა გენიამ ინება,
შენი ღროშების კალოები
ათას წლებს გადღეფინება.

შენ იხსენ, ვისაც ოდესმე
შავს ბელზე დაუყვედრია,
შენი მოძღვრების საუნჯე
ათასი წლების ხვედრია.

მუდამ შენს სახელს ახსენებს,
ვინც მტარვალს შეეჭიდება.
სტალინ, დიდება შენს სახელს,
შენს საქმეს მარად დიდება!

ირაკლი აბაშიძე





იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი





ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ლენინის
ორდენით დაჯილდოების შესახებ

4993

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა განადგურების მოწყობაში, აგრეთვე ომის შემდგომ პერიოდში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი აღმავლობის საქმეში მისი განსაკუთრებული დამსახურების გამო ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი დაჯილდოებულ იქნას დენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. უშვარინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წ. 20 დეკემბერი.



სახალხო სიყვარული

არის ამ ქვეყნად სახელი, რომელიც ჩვენთანაა მუდამ, ჩვენს გულში, ჩვენს ნათელ ფეხებში, ჩვენს ოცნებაში; ის ჩვენ გვახალავს ქირსა და ღობინში, სიძნელეების დაღლივისას, გაპარჯებებისას. ჩვენ ისე ძლიერ, ისე ძლიერ გვიყვარს ეს სახელი, რომ ძნელია სიტყვით სრულყოფილად გამოვხატოთ ამ სიყვარულის გრძობა. ეს სიყვარული ჩვენშია, ჩვენი გულის სიღრმეში, იგი ჩვენს არსებაშია ჩაქსოვილი.

ეს უძვირფასესი სახელი არის —

ს ტ ა ლ ი ნ ი.

საბჭოთა ხალხმა, მთელი მსოფლიოს მშრომელებმა უდიდესი ზეიშით აღნიშნეს 1949 წლის 21 დეკემბერი. ამ ისტორიულ დღეს დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა მშობლიურ სტალინს.

განუზომელია ხალხის სიყვარული დიდი ბელადისადმი.

იგი რომ დილით ადრე ფანჯარას გამოაღებს და ქაღარა კრემლიდან გადმოიხედავს, მის უსათნოეს სახეს დილის სპეტაკი სიო მიესალბუნება, მიუღალერსებს, — ეს სპეტაკი სიო მილიონების ჰაეროვანი ამბორია. პასუხი ამ ამბორისა ბელადის ის ტკბილი ღიმილია, რომელიც ჩვენი სამშობლოს დილასა ჰგავს.

შენ შთაბეგრე, დილა ბელადო, უძლეველი ძალა ხალხთა სიყვარულს, ცხოვრების სიყვარულს. ამ სიყვარულის ძალით ამარცხებდა ჩვენი ხალხი მტერს, ამ სიყვარულის ძალით აშენებს იგი კომუნისმს. ეს სიყვარული თვით შენა ხარ, მშობლიურო სტალინ!

უძლეველია ხალხი, რომელიც შენს ძვირფას სახელს გულით ატარებს, დილა მასწავლებლო!

ამ ძვირფასი სახელით შთაგონებული ჩვენი ბედნიერი თაობა ეუფლება მეცნიერების მწვერვალებს. ამ ძვირფასი სახელით შთაგონებული ეს თაობა მუდამ მზად იქნება ემსახუროს ხალხს და, საჭიროების შემთხვევაში, მისცეს სიცოცხლე დედამამშობლოს კომუნისმის ინტერესებისათვის.

მშობლიურო მამე და მასწავლებლო, იცოცხლე და იბედნიერე იმდენ წელიწადს, რამდენი მოსიყვარულე გულიც მთელ მსოფლიოში მოწიწებით წარმოსთქვამს უძვირფასეს სახელს ს ტ ა ლ ი ნ ი!

ჩემი ოცნება

ქართლის ქალაქებს შორის
უფრო რად მიუვარს გორი?

რად მსურს სძირ-სძირად ვნახო
სასლი ღიანჭვის ახლო?

აქ დაიბადა ბრძენი,
მსე და სიცოცხლე ჩვენი.

მოსწედა არწივის ბინას,
ქარბუქს წარუძღვა წინა.

ესოს დანაჩნდა კვალი,
ვით მარგალიტის თვალი.

მშობა შეჭფიცა ლენინს,—
დასცეს ქვეყანა ბნელა.

ნათელ კრემლიდან ის მსე
ახლა ღიმილით გვიმხერს.

მუდამ ფიქრებში ვხედავ,
ცხადად მაჩვენა, ნეტავ!

ვარჩევ ალისფერ ფარჩებს,
მისთვის უელსახვევს ვარჩევ.

ვნატრობ: მივიდე ახლო,
ბედნიერება ვნახო.

მუდამ შორიდან ვხედავ,
ახლოს მაჩვენა, ნეტავ!

ალექსანდრე





გორი 21 დეკემბერს

ყველა დღესასწაულს ღიმილით ეგებება გორი.

შემოდგომის მიწურულს, როცა ქართლი დოვლითა და ბარაქით აივსება, როცა მწიფე ყურძენი დაიწურება და მისი ქარვისფერი წვენი უზარმაზარ ქვევრებში ჩაღებება, როცა თურაშაული ვაშლი და ხილის-თაფრი აჭაში დაიკრიფება, ეზოებში ახლად გამოცხვარი მახობელა პურის სურნელი დადგება, ეს პატარა ქალაქიც ნოემბრის დღეებისათვის იწყობს მზადებას, რომ ზაფხულში გაწეული შრომის შედეგად, ხალხით იზვიოს...

ვანა მარტო ოქტომბრის დღესასწაულს ხელება ასეთი ხალხით გორი?

არა! აბა, იანვრის ქათქათა თოვლში გახვეული ნახეთ იგი!

აბა, ახალი წლის დღეს ისტუმრით გორს! ესაც ამ სანატრელ დღეს ქართლელი კაცის ოჯახის კარი განთიადისას შეუღია, მაღალი ჭერი დაულოცავს და ბედნიერი მასპინძლის ოჯახს მეკოვოდ დასდგომია. მხოლოდ მას შეუძლია ქართლელი კაცის სიხარული განიცალოს და ამ განცდით, მასთან ერთად მიეგებოს ახალ წელს.

არანაცლები სიხარულით ხელება გორი მაისობას.

ეს ძველი, მაგრამ მოდამ ახალი დღესასწაული გორის გულსაც ახარებს, ახალი სხივით აშუქებს მის ნათელ ქუჩებს—სხივით შეფოთილიან. ჰყვებიან აჭმები. ვაშლის თვალუწიღენი ბაღები, ვაზიანები.

ამ დღესაც განუსაზღვრელია გორის სიხარული, აღტაცებით სუნთქავს ჩვენს უზარმაზარ ქვეყანასთან ერთად.

მაგრამ სხვა არის ჩვენი გორი ოცდაერთი დეკემბრის მოლოდინში. მისი გული უჩვეულო სიამაყით ივსება.

ოლონდაც, ვასაგებია მისი სიამაყე და განსაკუთრებული გულისცემა: მის წილში დაიბადა დიდი ადამიანი, მსოფლიოს ყველა ხალხის საყვარელი სტალინი.

ამაყად იმზირება დიდი ბელადის პატარა სახლი. ხალხით ივსება პატარა ეზო. ჩამოსულ სტუმრებს ღიმილით ეგებებიან იმ კიბის საფეხურები, რომლებზეც მრავალჯერ აურბენია პატარა სოსოს. ამ დღის მოლოდინში ძველებურად ქანაობს და ხალხისანად ირწევა ძველი აყვანი, იცინიან პატარა სახლის კედლები, ხარობს ქერი.

გორის ახოვან ციხეს განიერი მხრები ცაში აუზიდავს, ისიც მოვლის ამ დღის გათენებას, ისიც მოვლის... დეკემბრის ქარს მიაქვს ყველგან მისი ომახიანი გუფენი:

— მოდი, სტუმრებო, მოდი, დღეს გორი ბედნიერი მასპინძელია!



ი. ბ. სტალინი 1896-1897 წლებში.

დაწმენდილი ლიხავი დედამტყვარს ეხუტება, გულში ეკერის და ეჩურჩულება:

— გახედ, გახედუ ბებერ ციხეს, მასაც ჩვენსავეთ უხარია, ჩვენსავეთ!

ლიხვისა და მტკვრის პირას ჩარიგებულნი უხარმასარი ტირიფის ხეები შიშველ ტოტებს არხვენ და რკინიგზის სადგურს გასცქერაიან. იქიდას მატარებლის გუგუნის გაისმის. მოდის ხალხი, მოდის... პატარა სახლისავენ მიემშურებიან.

ვის არ წახავთ ამ დღეს გორში. ჩვენი დიდი ქვეყნის ყოველი კუთხიდან აქეთ მოისწრაფიას მოწინავე აღაპიანები, მოხუცები, ახალგაზრდები, წითელყელსახვევიანი პიონერები. მატარებლიდან მხიარული ყვირით ჩამოდიან, ბელადის სახლისკენ მიემშურებიან.

წელს განსაკუთრებით უზომოა გორის სიხარული: ბელადს სამოცდაათი წელი შესრულდა.

ქუჩებში უჩვეულო მოძრაობაა. რაიკომის მებობის წინ კოხტად გამოწყობილი ხალხი ირევა. თურამაული ვაშლივით ლოყებაწითლებული ბავშვები მხიარულად გაიძახიან:

— გაუმარჯოს ძია სტალინი!

აგერ ქუჩაში ღრმად მოხუცი, ასი წლის გორელი ბერიკაცი მიდის. ისიც ამ ზემის მონაწილეა. ბებერი გული ჰაბუყურად უტეძს. მას კარგად ახსოვს შავგვრემანი, მკვირცლი ბიჭუნა, რომელიც მის თვალწინ იხრებოდა. აქ ამ ქუჩებში დარბოდა, თავის ირგვლივ ყველაფერს ხალისს ჰფენდა. მიდის წინ ასი წლის გორელი, ბელადის სურათს შესცქერის, ეჩურჩულება:

— დიდხანს იცოცხლე ბელადო, დიდხანს იღებგრძელე და იბედნიერე!

ბერიკაცს გვერდით წითელყელსახვევიანი ბიჭი მისდევს, მოხუცისათვის ხელი ჩაუჭიდინა, თეატრის მაღალი შენობისკენ მიჰყავს.



ი. ბ. სტალინის დედა ეკატერინე ჯულაშვილი


— ნეტავ, ზომ არ ჩამოვა, ჰა, რას ამბობენ?...—ეკითხება ბერიკაცი ბიჭს.

წითელყელსახვევიან ბიჭუნას თვალები ნატვრით ეცემა, ბელადის სახლისკენ ღიმილით იმზირება.

— ნეტავ მართლაც ჩამოვიდოდეს, ნეტავ! 1949 წლის 21 დეკემბერია.

ბედნიერია დღეს გორი, უზომოა მისი სიხარული.

გიორგი შაბაჩაშვილი



გამარჯვების მთავარსარდალი

სტალინ! უკვდავი ხალხის ნება ხარ,
შენ სთქვი სამშობლოს მთელი სათქმელი,
ახალ სამყაროს აშენება ხარ,
ერთა მშვიდობის სულისჩამდგმელი.

შენ ალომგულზე მფრინავს ჰაერში,
არწივისებურ ფრთებს აშლევინებ,
მინდვრად აღვეთე ქართა თარეში,
ჰქენი უღაბნოშიც სწვანე ხეივნებს.

შენ გიმორჩილებს ვოლგა დინებას—
კრემლის კედელთან არხით მოსული.
წინ უძღვი ქვეყნის აღორძინებას
უქნობ დიდებით გარემოცული.

ღიმილით გიცნობს ფუნთუშა ბავშვიც
აკვნიდან ახლად ამოყვანილი,
უმზერს სურათს და, დედის კალთაში
ტბილად ტიტინებს: „ძია სტალინი!“

გვახარებს შენი ბრძნული სახება—
ჩვენს ოცნებაში მუდამ მზის ტოლი.
ცაშიც სპეტაკად შეინახება
შენი ძვირფასი ჩიბუხის ბოლი.

მხსნელად გიყურებს მხარე ყოველი,
გზას რომ უკაფავ მომავალს ლამაზს.
საღლაც ჯუნგლებში ზის ინდოელი,
გნატრობს მშრომელთა საყვარულ მამას.

წილად გხვდა ძველი მსოფლიოს დაშლა,
სძლიე, გასტეხე მტერი ამტყდარი.
საკაცობრიო მშვიდობის ჯავშნად
დგახარ სიმართლის ბაიბახტარი.

სტალინ! სიმტკიცით რვალის სადარო,
იცავ გულმართალ ედამიანებს.
მანამ იცოცხლე, დიდო სარდალო,
ვიდრე არაგვი ზვირჟს ახმეიანებს!

მარლამ ქურული



ჭიათურის გაზაფხუდი

შორაპნიდან ვიწროლიანდაგიანი მიხვეულ-მოხვეული გზით მატარებელს საჩხერისაკენ მიჰყვებარ. ვინც ამ მხარეში პირველად მოგზაურობს, ყველაფერს ინტერესით აკვირდება, მგზავრის თვალს აჯადოებს ბუნების სიმშენიერე და მთა-გორებზე გაშენებული ზემოიმერეთის სოფლების სილამაზე...

ორთქლმავალი სვლას უკლებს. მატარებელი ჩერდება და თქვენც გადმოდიხართ ვაგონიდან სადგურის პერონზე. უკვე ჭიათურაში ხართ. მიმოიხედავთ ირგვლივ და მამაშინვე იგრძნობთ ამ პატარა ქალაქის ინდუსტრიულ მაჯისცემას.

გული სიამაყით გვესებათ, როდესაც გაიხსენებთ ამ ქალაქის ისტორიულ წარსულს: ამ ორმოცდაათი-ორმოცდახუთი წლის წინათ ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი სათავეში ედგა ჭიათურელ მაღაროელებს და რაზმად მათ ძირმომავალი თვითმპყრობელობის ტახტზე იერიშის მიტანადა, ექსპლოატატორთა წინააღმდეგ შედგარი ბრძოლისათვის.

და აი თქვენ გსურთ ყველაფერი გაიგოთ ჭიათურის შესახებ, სიკაბუჯის წლებში დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ ამ ქალაქში.

• • •

ჭიათურა შედარებით ახალი ქალაქია. იგი გასული საუკუნის მეორე ნახევარში წარ-

მოიშვა. თავისი ასაკით ჭიათურა ვერ გაეჯიბრება საქართველოს ქალაქა ქალაქებს.

შვილი ათეული წლის წინათ ახლანდელი ჭიათურის ადგილზე უდაბური და გაუფალი ტყე ყოფილა. აქ დასადგურებულ მყუდროებას მაშინ ანკარა ყვირილა, ან რომელიმე ნადირის ხმა თუ დაარღვედა.

მარგანეცის აღმოჩენამდე და მას შემდეგაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჭიათურის ირგვლივ მდებარე სოფლებში შიმშილი, სიღუპიერე და გაჭირვება იყო დამკვიდრებული.

ჩვენი სასიქაღულო მგოსანი აკაკი წერეთელი ერთ წერილში აღნიშნავს, რომ ეს რაიონი ნაძრახ ადგილად ითვლებოდა და

მეტსახელად „საქაჯეთი“ ეწოდებოდა. ამას მებატონეთა სისასტიკე და გულცივიობა ემატებოდა, რაც უფრო აუტანელს ხდიდა გლეხის დუხტირ და განაწამებ ცხოვრებას...

და ჭიათურის მიდამოებში აღმოჩნდა მარგანეცი. ზეჟო იმერეთის ეს მივარდნილი და მიყრუებული კუთხე მალე საქვეყნოდ სახელგანთქმული შეიქნა.

ვინც პირველად შეიცნო ჭიათურის წილის საიდუმლო, ვინც პირველად შემოჰკრა წერაქვი მარგანეცის მგარე ქანებს, ჩვენი სასიქაღულო მგოსანი აკაკი წერეთელი იყო.



ი. ბ. სტალინი 1900 წელს



„სკრა“ და სტალინური „პროლეტარიტი“
ბრძოლა.

ბევრი მწარე მოგონებაა შემინდელ მამულ და განაწამებ ცხოვრებაზე. სწორედ მაშინ ამბობდნენ ჭიათურელი მშუმები:

„რა არის ჩვენი ცხოვრება, ჰერასც ვნატრობთ რივიანს, საბნადაც ჯავრი ვეატურავს, ლოგინად ჯავრი გვიგია...“

მაგრამ ჭიათურელი მალაროელები გულხელდაკრეფილი იყვნენ. მათში იღვიძებდა კლასობრივი თვითმფენება. განაწამებ ცხოვრებას ისინი ვერ ურიგდებოდნენ, რწმუნდებოდნენ რომ მუშათა განთავისუფლება თვით მათივე საქმეა. ისინი ირანშობდნენ მეფის ბინძურ ტანტზე და კაბიტალისტებზე იეროშის მისატანად...

წარმოიშვა საკმაოდ მძლავრი პროლეტარიატი. ეს შეუქმნეველი არ დარჩა ახალგაზრდა სტალინს. იგი იზნანად ბათუმის პროლეტარიატს რანამავდა, აწრთობდა. ბათუმის მუშათა პოლიტიკური გამოსვლების დროს, ჯერ კიდევ 1902 წელს, ამხანაგ სტალინის მითითებით ბათუმელმა მუშუმებმა კავშირი გააბეს ჭიათურელ მალაროელებთან. სწორედ ამის შედეგიც იყო ჭიათურელ მალაროელთა დიდი გადვიცა 1903 წელს. 1904 წლის შემოდგომაზე ამხანაგი სტალინი მიემგზავრება ჭიათურაში და დიდ მუშაობას აჩაღებს.

ღებვა 1905 წლის ბობოქარი და ქარიშხლიანი დღეები. რევოლუციის ტალღა მღლა იწეეს. იგი წალეკვით ემუქრება მეფის თვითმყრობელობას.

„რევოლუცია გრგვიანავს... რევოლუციის გემზა იალქანი აუშვა... დღე ძლიერად დასკექოს მეხმა, დღე ძლიერად დაჭროლოს ქარტხილიმა!“ — წერდა იმხანად დიდი სტალინი.

ლავრენტი ბერიკა ჭიათურაში დიდი სტალინის მოღვაწეობაზე თავის ცნობილ ნაშრომში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური

ბევრი გაცილება და შეურაცხყოფა გადაიტანა აკაკიმ მარგანეცის თაობაზე, მაგრამ იგი ამას ყურად არ იღებდა. — მომავლის საქმეს, საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა.

ღეწულმოსილი აკაკის მეოხებით ქართულმა მარგანეცმა ერთბაშად გაითქვა სახელი.

მალე ჭიათურას მოაწყდნენ უცხოეთის კაბიტალისტები. მათ ადგილობრივი მრეწველებიც აწყვენენ. უკვე აღარავინ თაკილობდა „გათიხხილი თავი ქვის“ სარფიან საქმისათვის მოეკიდა ხელი. ჭიათურა უცხოელ და ადგილობრივ მრეწველ-კაბიტალისტთა შეტოქეობის ასაარეში შეიქნა.

მარგანეცის მრეწველობის ჩასახვა-განვითარებას ბუნებრივად მოჰყვა მუშათა კლასის წარმოშობა. ჭიათურა მუშათა ერთერთი მძლავრი ცენტრი გახდა. შეტად დღეჭირი და მძიმე იყო მაშინ მუშუმების ცხოვრება. მათ ბოროტოსულ ექსპლოატაციას უწევდნენ კაბიტალისტები „მინაურონი“ და „გაროელები“.

მალაროელები დღე-ღამეში 14-16 საათს მუშაობდნენ, იღვიძებენ მცირე ხელფასს, ცხოვრობდნენ ქონხანებში. ექსპლოატატორები არ ფიქრობდნენ მათ ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, დასვენებაზე, მამა-პაპური ქრახი და წერაქვი იყო მალაროელთა მუდმივი თანამგზავრი.

ჭიათურელი მუშუმების ასეთ დღეჭირ ცხოვრებაზე წერდნენ განხეთები ლენინური



სახლი ჭიათურაში ლ. ტოლსტოის ქუჩაზე, სადაც ამხანაგმა სტალინმა 1905 წლის ზაფხულში მოაწყო არალეგალური ბოლშევიკური სტამბა.



ამხანაგი სტალინი ჰიათურაში მიტინგზე ამხელს მენშევიკებს (1905 წ.)

სურათი მხატვ. ს. ნადარეიშვილისა

ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“
წერს:

„მთელი რიგი დისკუსიები ეწყობა სხვადასხვა დროს ჰიათურაში, მარგანეცის თითქმის ყველა მაღაროში (პერეკისა, შუქრუთი და სხვ.). ბოლშევიკების მხრივ ამ დისკუსიებში გამოდიოდა ამხანაგი სტალინი და მასთან ერთად, სხვადასხვა დროს, მონაწილეობდნენ აგრეთვე ამხანაგები ა. უსულუკიძე, ს. იშვკირელი და სხვები...“

ჰიათურის დისკუსიებში მენშევიკებმა სრული დამარცხება განიცადეს. სოციალ-დემოკრატ მუშების უდიდესი უმრავლესობა ბოლშევიკებს მიემხრო“.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჰიათურელი მუშები საბრძოლო მზადყოფნაში შეხვდნენ რევოლუციას. დიდი იყო ბოლშევიკების გავლენა მუშათა რევოლუციური აზრის ჩამოყალიბებაზე.

1905 წლის იანვარში დიდი პოლიტიკური გაფიცვა მოეწყო ჰიათურაში. დემონსტრაციან მუშები გამოვიდნენ რევოლუციური ლოზუნგებით, გაფიცულთ მკაცრად უსწორდებოდა მეფის თვითმპყრობელობა.

1905 წლის ზაფხულში უფრო აზვირთდა რევოლუციის ტალღა. ჰიათურაში კვლავ მიმგზავრება ამხანაგი სტალინი. აქ იგი ხელმძღვანელობს ბოლშევიკურ ორგანიზაციას, თვითონ ამეცადინებს პროპაგანდისტებს.

ძმების კეკელიძეების ბინაზე ამხანაგმა სტალინმა მოაწყო არაოფიციალური ბოლშევიკური სტამბა. საბუკლი მანქანა, შრიტტი და სტამბის მოწყობილობა თვით ამხანაგმა სტალინმა ჩამოიტანა თბილისიდან. ბელადმა თან ჩამოიყვანა ავღაბრის ბოლშევიკური სტამბის ასოთამწყობი ქ. კალანდაძე.

ამხანაგი სტალინი წერდა მგზნებარე პროკლამაციებს, თურცლებს, თვითონ დადიოდა სტამბაში, ასწავლიდა მუშა-რიგოლუციონერებს კონსპირაციის ხელოვნებას.

ჰიათურის სტამბაში ბევრი სტალინური პროკლამაცია დაიბეჭდა. ისინი მკაცრად ამხელდნენ ბოლშევიზმის ყველა მტერს და პროლეტარიატს შეიარაღებული აჯანყებისაკენ, თავისუფლებისაკენ მოუწოდებდნენ.

დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით მოწყობილმა სტამბამ გაიარა მრავალი შუამდგომლობა ჰიათურის მშობლივი ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნაში. აქ დაბეჭდილ პროკლამაციებსა და თურცლებში მკვეთრად, ხმაშლით გაისმოდა ბოლშევიკების მართალი საბრძოლო სიტყვა.

ასლა ეს სახლი, რომელიც ლ. ტოლსტოის ქოჩაზე მოებარებოდა, რესტავირებულია და მასში მოწყობილია სახლ-მუზეუმი.

1905 წლის ივლისი. ჰიათურის სამხრეთი მხარე. ფხალაძეების მინდორი. მიმდინარე-



ბლა დისკუსია. ბოლშევიკების მხრით დისკუსიაზე გამოვიდა დიდი სტალინი. იგი აუღელვებლად, რყინის ლოგოკით ანადგურებდა მენშევიკებს, ანარქისტებს, ფედერალისტებს, ამხილებდა მათს მოღალატურ ბუნებას. ამხანაგ სტალინის გულშიჩამწვდომმა და შთამავრებელმა სიტყვებმა აღაფრთოვანეს ჭიათურელი მუშები, მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია.

ახლა დისკუსიის ადგილზე გაშენებულია მარადმწვანე მცენარეების ბაღი და აღმართულია ობელისკი წარწერით:

„აქ, 1905 წლის ივლისში ჭიათურის მოშათა მიტინგზე გამართულ დისკუსიაში ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა მენშევიკები, ანარქისტები და ფედერალისტები. მიტინგის შემდეგ ჭიათურის მუშებმა მოაწყეს გრანდიოზული დემონსტრაცია თვითმპყრობელების წინააღმდეგ“.

1905 წლის ქარიზხლიანი დღეების შემდეგ ჭიათურის პროლეტარიატი ერთგულად მისდევდა დიდი სტალინის დარიგებებს, მტკიცედ იცავდა იმ რევოლუციურ ტრადი-


ციებს, რაც აქ მშობლიურმა ბელადებმა შექმნეს. ჭიათურელმა მუშებმა 1905 წლის ივნისში და 1913 წლის ივნის-ივლისში დიდი პოლიტიკური გაფიცვები მოაწყეს. ჭიათურა მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე იდგა.

და მართლაც, მამაცთა ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია, პროლეტარიატმა გაიმარჯვა. ჭიათურელი მაღაროელები ბოლომდე მიჰყვებიან დიდი ბელადის დარიგებებს, ისტორიული ჭიათურა სოციალიზმის ქვეყნის ხალხთა საყვთილდღეოდ, მშობლიური სტალინის სადიდებლად მუშაობს.

უცხოელი მტაცებლების განდევნის შემდეგ დაიწყო ინდუსტრიული ჭიათურის ნამდვილი აღორძინება, მისი უემშარიტი განახლება და რეკონსტრუქცია. სტალინურმა ხელწოდებმა სრულად გამოცვალეს ჭიათურა, დიდი სტალინურ ეპოქაში ჭიათურა გახდა ჩვენი ქვეყნის მეტალურგიის მძლავრ კერად.

იქ, ცხოვრების ნამდვილი გაზაფხულია დაამკვიდრებული.

არჩილ უკოილაშვილი



ახალი ჭიათურის ხედი.

გორელ ბავშვებს



ქვენ, პატარა გორელებო,
ბევრი რამ გაქვთ მოსალხენი:
თქვენ გორის ხართ ბინადარი,
თქვენ ხართ გორის მოსახლენი!

მანდ იშვით და მანდ იზრდებით,
მტკვარი გიმღერთ ნანას ახალს;
თქვენ ყოველდღე შეგიძლიათ
იმ აკენის და სახლის ნახვა,

სადაც იშვა დიდი ბრძენი
და ბავშვობა გაატარა,
ვინც ცხოვრება ჩაგრულ მოძმეთ
გარდაუქმნა მზიან ღარად.

თქვენ დადიხართ იმ ქუჩებში
და ნაუარლობთ იმ მინდვრებზე,
სადაც იგი ტოლ-მეგობრებს
გადახვევდა ხელებს ნხრებზე.

და უყვარდა სწავლის შემდეგ
გართობა და დასვენება,
ხალხის ბედზე დაფიქრება,
ხალხის გმირთა გახსენება.

თქვენ, პატარა მეგობრებო,
მზიურ ქვეყნის გმოსავთ სხივი,
ლაღად ჰყავით, დიდი ბრძენის
გათბობთ ზრუნვა მამობრივო,
მოდიხართ და მოიმღერით
მის საყვარელ ლიახვივით.

ილია სინარულიძე





სტალინის სურათი

საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი სამანხევარი წელიწადი იმყოფებოდა დამპყრობელი გერმანელი ფაშისტების მონობაში; მოკავშირეთა ჯარების შემოსვლამდე, აჯანყდნენ პარიზის მშრომელები.

ამ აჯანყების მთავარი სულისჩამდგმელი საფრანგეთის კომუნისტური პარტია იყო.

პარიზის ეს აჯანყება, — მოწყობილი ფაშისტური უღლის გადასადგმად, — ფრანგი ხალხის გამანათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი. მას საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა.

1944 წლის 24 აგვისტოს საღამოსათვის პარიზი ადგილობრივი აჯანყებულების მიერ თითქმის მთლიანად გაწმენდილი იყო გერმანელი ფაშისტებისაგან.

პარიზის ორლეანის კარებში ფრანგ პარტიზანთა ლაშქარი გამოჩნდა. მათ პარიზის მესახლეობა ყვავილებითა და ოვაციით შეხვდა.

ქუჩები ვაცოცხლდნენ. პარიზს დაკარგული სიმზიარეუღე დაუბრუნდა. პარიზი იმ ლამეს ზეიმობდა თავის განთავისუფლებას.

ეს იყო ყოველი პატრიოტის, თავისუფლების მოწყურებული ფრანგისათვის საამაყო წუთები.

საყურადღებოა, პარიზში ფრანგი პარტიზანების შემოსვლას გენერალი დე-გოლი არ შემოქმდვა, როგორც მის მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. ამ დროს თურმე ფრანგი ხალხის მოლაპატე გენერალი ინგლის-ამერიკელების მთავარ შტაბთან ვაჭრობოდა, თურა ფასში მიეყიდნა მათთვის ფაშისტური უღლისაგან ახლად განთავისუფლებულ საფრანგეთს.

ვათენდა 25 აგვისტო. სამანხევარი წლის მონობისა და იმ ტანჯვის შემდეგ, რაც ფაშისტების ხელით პარიზმა გამოსცადა, გვინდოდა პირველ დღეებში სულ გარედ ყოფნა სამიწელ საპატიმროდან ახალ გამოსულივით, გვინდოდა ნაცნობი ქუჩების, ხალხის, მაღაზიების ნახვა ისე, თითქმის დიდი ხანი არ გვენახოს ყველა ისინი.

და მეც დილიდანვე დავტოვე ჩემი ბინა. მშვენიერი დარი იღვა პარიზში. ხალხის სიხარულს მზის სხივები უფრო აცხველებდნენ. გაეყვი ლონშანის ქუჩას. გავსწიე წინ და მოედინისკენ ვიბრუნე პირი.

ქუჩის ბოლოში ხალხი შეჯგუფებულიყო. ჯგუფი სწრაფად დიდდებოდა, — კოსკო სტალინის სურათი იყიდებოდა, — მიჰასუხეს. სიხარულით გული ამიძვირდა. მეც ჯგუფს შევეერთდი. აქ იყვნენ ბავშვები, მოზოკობი. ქალები, კაცები... ყველა ისინი, იძენდნენ რა სურათს, ჰკოცნიდნენ მას, გულში იხოტებდნენ, გახარებულნი ხამაღლა იძახდნენ: — სტალინ, შენ გვიხსენ! ჩვენ, შენ გავანთავისუფლე!

მე ამის მნახველ ქართველს სიხარულით ფრთა შემესხა, მინდოდა ყველას გამოვლავარაკებოდი, მინდოდა მეთქვა, რომ მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც დაიბადა დიდი სტალინი.

მას შემდეგ ფრანგთა იმ გრძობის მოგონება მულამ თან მახლავს და იქ შექმნილ ჩემთვის საყვარელი დიდი სტალინის სურათს აღარ ვიშორებ.

ინლო ინასარი



სტალინს

დაბადების დღეს ტკბილ სიმღერებად
სალხები სალამს უძღვნიან ბელადს,
მრავალ შრომის წელს, ბედნიერებას
და ჯანმრთელობას უსურვებს ეველა.

ჩვენი ქვეყანა დიდია შეტად,
გამარჯვებისკენ მიდის, იზრდება,—
წინ კომუნიზმის მწვერვალებს ვხედავთ.
ლენინის ერთგულს—სტალინს დიდება!

მუდამ იტყვიან სალხები მასზე
შეუწვევტელად სიმღერებს ღამასს...
მადლიერების გრძნობებით სავსე
ბავშვები სალამს ვუკ საზნით მამას.

მინილ სკვლოვი
თარგმანი გ. კაპახიძისა



წავალი იბანი



კვირა დღეა. წვიმს და ხმაურობს გვიანი ემოლოგომის ქარი. თამარი ოთახში მაგიდასთან ზის და მეცადინეობს. აგერ მეთაფვერ თიხტული გეომეტრიული ამოცანის ძნელი ირობას და მაინც ვერ შესძლო მოეხანა წორი გადაწყვეტა.

„ჩანს არაფერი გამოდის!“ — ფიქრობს გოგონა. წიგნი დახურა, წამოდგა და ფანჯასთან მივიდა. ეზოს თვალი მოავლო. სამარაულო სახლის დერეფანში ბელურები ალაც საცენეს მისვლიან, თან აქეთ-იქით იხელებიან — რამე ხიფათი ზომ არ მოგველიო. საიდანღაც კატა გამოჩნდა. „ფრა“, — აისმა ბელურების ფრთების ხმა. კატა შეერთა, მაგრამ უმალ გამოერკვა, კისერი აიგრიძელა და თვალი გააყოლა დამფრთხალ ჩიტუნებს.

თამარს უნებლიეთ გაეცინა. ის იყო საელმძღვანელოს უნდა მიბრუნებოდა, რომ ეცებ სიძღერა მოესმა. ყური მიუვლო. კომკავშირული სიძღერა იყო. თამარი ახლა მერე ფანჯარასთან მივიდა, რომელიც გზისკენ ღებდება. თითქმის მინას მიეკრა. გზაზე კომკავშირელები დაინახა. ისინი მოდიოდნენ ბარებითა და წერაქებით. ეტყობოდათ უტრადლებას არ აქცევდნენ წვიმასა და ქარს.

„არხის გასაპრელად მიდიან!“ — თქვა თავის გულში გოგონამ და მოაგონდა კოლმეურნეთა კრება, სადაც კოლმეურნი კომკავშირელებმა ვალდებულებად აიღეს, კოლმეურნეობის ერთ ურწყავ ფართობზე გაეპრათ დიდი არხი. გადასწყვიტეს და საქმესაც შეუდგნენ. ყოველგვარ ამინდში მუშაობდნენ, და აი, ახლაც მიდიოდნენ საქმეობად.

„მძიმეა ასეთ ამინდში მათთვის მუშაობა, — გაიფიქრა გოგონამ, — მაგრამ მაინც ხელს არ უშვებენ დაწყებულ საქმეს“. თამარმა უნებლიეთ გადახედა თავის სახელმძღვანელოს და ხელახლა გზას მიაპყრო თვალი. სამუშაოზე მიმავალ კომკავშირელთა წინ მან დაინახა ნაცვობი, მომლიძარი სახე.

„ეს ლევანია!“ — გაუხარდა გოგონას და

გაახსენდა ადრეული გაზაფხული, კოლმეურნეობის ახალ კლუბში გამართული საერთო კრება, სადაც ყველა კოლმეურნემ პირობა მისცა დიდ ბელადს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ და მიიღებდნენ სიმინდის დიდ მოსავალს. ამ კრებაზე კომკავშირელი კოლმეურნი, — თამარის სკოლის ყოფილი მოსწავლე, — ლევან რაზმაძე სიტყვით გამოვიდა და პირობა დასდო თავისი ნაკვეთის თითოეულ ჰექტარზე მოიყვანდა ორმოცდაათ ცენტერ სიმინდს. ამ პირობის შესასრულებლად ლევანი ძალ-ღონეს არ იშურებდა. შეუპოვარმა შრომამ იგი მთელ სოფელში სახელოვან კომკავშირელ კოლმეურნელ აქცია. მოსავლის აღებისას ლევანმა მასზეგაპიროვნებული ნაკვეთის თითოეულ ჰექტარზე ორმოცდაათი ცენტერის ნაცვ-



ლად სამოცი ცენტური სიმიწი აიღო. მაგრამ ლევანს ახლა ეს არ აკმაყოფილებს, — ცდილობს სოციალისტური შრომის გმირი გახდეს.

თამარს მოეჩვენა, თითქოს კომკავშირულთა სიმღერას გაჰოერჩა ლევანის ხმა:

კომკავშირლები ყველაფერს სძლევენ,
ბოლომდე მიჰყავთ ყოველი საქმე...

სიმღერამ გოგონას ძალა შეჰმატა, გაახალისა. თამარს უნდოდა მათთან ერთად ემღერა. კიდევ ააყოლა ხმა, მაგრამ მალე კომკავშირელები თვალს მიეფარნენ და მათი ხმაც მისწყდა. თამარიც გაჩუბდა. მობრუნდა და მაგიდაზე სახელმძღვანელოს გადახედა.

„ეს გეომეტრია რომ არ იყო... კომკავშირში უფრო თამამად შევიტან განცხადებას.“ — გაფიქრა გულდაწყვეტით თამარმა.

მართლაც, გეომეტრია აფიქრებდა მოკრძალებულ და თავმოყვარე გოგონას. გეომეტრიაში რომ სამიანი არ ჰქონოდა, თამარი წარჩინებული, ხუთოსანი მოსწავლე იქნებოდა. მას უკვე თითხმეტი წელიწადი უსრულდებოდა და შეეძლო კომკავშირში შესულიყო.

„აი, გეომეტრიაში რომ ხუთიანი მივიღო, მაშინვე დაეწერ განცხადებას, — ფიქრობდა

თამარი, — მაგრამ ამ ხუთიანის მიღება, როგორც ჩანს, არც ისე ადვილია.“

თამარმა იოთხს მიმოაგო თვალს და დახარული ლის სურათზე შეაჩერა მზერა. **სიკვლევი**
„მიუღწეველი არაფერია!“ — თითქოს ეუბნებოდნენ სურათიდან ბელადის თვალები.

თამარი ღრმად ჩაფიქრდა.

„მეტი შეუბოვრობაა საჭირო“. — თითქოს კვლავ ეუბნებოდნენ გოგონას იგივე თვალები.

თამარმა თავი დახარა. ეს სიტყვები მასწავლებლისაგან მოუსმენია მას, წიგნშიაც წაუკითხავს, მაგრამ რატომ აქამდე არ მიუშტკეცია მათთვის მეტი ყურადღება? რატომ მიმალულიყვნენ საღლაკ გონებაში? თითქოს ეძინათო, ახლა გაეღვიძათ, წინ წამოვიდნენ, გაბრწყინდნენ და, აი, გოგონას გული სამოქმედოდ შესწრეს.

თამარი მაგიდას მიუჯდა, ხელახლა გადაშალა სახელმძღვანელო და მანამ არ დაუხურავს, სანამ ამოცნა არ გადასწყვეტია.

გავიდა სამი კვირა. საკლასო ჟურნალში, თამარის გვარის ვასწვრივ, გამოჩნდა ახალი ნიშანი — ხუთიანი გეომეტრიაში.

ბ. ბათნაული

ნაბ. ი. სუბიშვილისა



ელექტრონის ტრაქტორი

1937 წელს რუსმა სწავლულმა ბ. ს. იაკობიმ პირველმა მსოფლიოში გამოიგონა ელექტრონის ეტლი. შედეგად ამ ელექტროეტლის საშუალებით მივიღეთ: ელმავალი, ტრამვაი, ტროლეიბუსი და კიდევ, დიდი ხანი არ არის რაც გამოჩნდა, ელექტრონის ტრაქტორი. იგი დაამზადეს სვედლოვსკის მოტორსარემონტო ქარხანაში, საბჭოთა ინჟინრების ნახაზების მიხედვით.

ზეგირი რთული ტექნიკური ამოცანების გადაჭრა მოუხდათ ამ მანქანის კონსტრუქტორებს. ყველაზე ძნელი საკითხი იყო: როგორ მიეცათ დენი ტრაქტორის ელექტრომობილისათვის. ტრამვაისა და ელმავლისათვის ეს უბრალოდ ხდება. იქ ელექტრონის დენი მიიღება ლინდავასა და სპაბრო ხაზის — ზემოთ გაკომული მავთულის საშუალებით. ტრაქტორისათვის ასეთი რამ შეუძლებელია. მინდობოში ხომ ვერ გავკიმათ ზემოთ მავთულებს ახლახუნის მსგავსად?

ამიტომ, აი, როგორ მოიქცნენ გამოგონებლები: მინდვრის შუაგულში თვლებზე დადგეს პატარა ელექტროქვესადგური. მისგან გაიყვანეს ვრძელი მავთული მიწაზე პირდაპირ ტრაქტორისაკენ.

როდესაც ტრაქტორი მუშაობას მოათავებს მინდვრის ერთ ნაკვეთზე, ქვესადგური, რომელთანაც ტრაქტორია დაკავშირებული, გადააქვთ მეორე ნაკვეთზე.

ტრაქტორმა მავთულზე რომ არ გადაიაროს, ასეთი რამ გააკეთეს: ტრაქტორის შუაგულში მოათავეს დოლი, რომელზედაც კოქსეტურად იხვევა მავთული. დოლს ზამბარაკი აქვს; თუ მავთული მოდუნდება, იგი მასიწვე დაიხვევა დოლზე და გაიქიმება; ამიტომ გამბედილობა ტრაქტორსა და ქვესადგურს შორის ყოველთვის გაქიმებულია.

ელექტროტრაქტორის ძალა დიდია, მართვაც ადვილი.



საქართველო ბელარუს-ბელნაურა ბავუფებინსკან

იყოცხე დიღბანს, მშობლიურა სტაღინ!

21 დეკემბერია. და მე თითქოს ვეღაც ახლა კრებულს, ჩონღოც, მერს ჰპოტრესულ კაპობობისთან ერთად, დიდი სტაღინის 70 წლისათვის ზეიშის... კრებლის ზეუქმიანი ვარსკვლავი წვეულებათვლ ძლიერ ბრწუნავს. პრესიასი სემქრალ ვარსკვლავად ბრძენი სტაღინი და კრებლად დამლილი ვახუშტის მის მიერ აყვავებულ საშობათა მამშობლად.

ბელნაურა ვარ, რომ დავიბადე და ვიზრდები სტაღინურ ცხოვეში, როდესაც ყოველ მშობლად და ყოველ მოწოდებულ ახალგაზრდას ცოდნისაკენ ვხეხნილი აქვს. რაც უფრო ვიზრდები, რაც უფრო მეტს ვცოდნობდი, მით უფრო მეტად ვგრძობ ჩვენს ბედნიერებას, მით უფრო ვაყვარებ და უსაზღვრო მადლიერებას განაზობით ვიყვებო ამ ადამიანსადმი. რომელიც ჩვენს ეს ცხოვრება დავაძლიერებ.

იყოცხე დიღბანს ჩვენი დიდი მასწავლებელი და მამა, მშობლიურა სტაღინ!

მადანა ლეონიდა

ბელნაურის ვაჟია 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლ. მოწვეულ პირიქია სახლის ლიტერატურის კანტატის წევრი.

მე მახსოვს

მე მახსოვს ვერაშენდ მტარავალი თარვი,
მე მათი უსაზღვრო მგეობაც ვიცი;
მე მახსოვს, რა გარნი, რა საივადიშე
მაილი მამალიმ მეთრის დიცი...
როცა ვავიცილე და დამიბარტოვა,
ღეს წაიბი შედგომი ვეავალია შოჩის,
და, როგორც პატარას, ამინის მარტყიდე:
— სტაღინის გზა ათის ვეჯღავ სწორი!
წყვილა, წყვილა ჩემს ვადისარტყელ,
იყავდა საშობლონ ნათელს და შიანს...
აჩისდრის დიღბა ბრძობაში მარტყენა,—
რა უფრო თუ მეტრედი ვაქმო ტყვიამ!

ახლა მე აღარ ვარ იმეთი პატარა,
სული მაქვს მებრძობლის, მეტრედი მაქვს ჩველის,
მე მამის ნათქვამი დამეუბნა მარადის —
დიღება, დიღება მშობლიურა სტაღინს!

მადანა ლეონიდა

ბელნაურის ვაჟია მე-7 სკოლის XI კლასის მოწვეულ



სტაღინი

მშვენიერ სიმღერა უდიადესი,
გულში სიყოცხლის ცეცხლი ანთია,
სიმღერა მზეზე უბრწყინვალესი
ჩვენს უპირველეს მზეს და განთიადს.
ვინც გაუქარავა მშობრმელს ნაღველი,
ხალხთა დროშაა ცაღ ატანილი;
მარად მზედ გვეწითოს მისი სახელი,
დღღგრძეული იყოს დიდი სტაღინის
სტაღინი ნორჩთა გულის ხალისი,
განათებული ტურფა ბუნება,
ჩვენი აპრილი, ჩვენი მაისი,
ჩვენი მუღმივი გახატულება.

403

მადანა მონოლენი

ბელნაურის ბუნების მე-20 საშუალო სკოლის XI კლასის მოწვეულ

დიღება სტაღინს!

ვიზრდები და ვსწავლობ ჩვენს ბედნიერ კვეყანაში, სადაც დავწაბით კაპობობის დიდი ზენის—სტაღინის მზე.

ჩვენ ვავადობთ დამარკობანი არ გველობება ნათელი მომადლისაკენ. ეპოქა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, დიდი სტაღინური შიბათა ვახსოვსმწებულა. ვედა ჩვენთავანს აქვს უღლებს სკოლაში სწავლის და არა თუ უღლებს,—სავადებულყოფა სწავლა. პარტისა და მათეობის, დიდი სტაღინის ამ მამობრე ბრუნება და მისე ჩვენ უფიადზე სწავლით ვისუქობთ.

დღღგრძელობა და დიღება მშობლიურ სტაღინს, ჩვენი საამუ- ჩი, ბედნიერი ცხოვრების შემოქმედს.

«დიღება ბელადს,

ვინც კრებლის ცახე

უფიადე ვარსკვლავად ბრწყინებს და ეღავს,

ვინც მოავტარნი ეს სილამაზე,

დიღება ბელადს!»

მადანა მონოლენი

ბელნაურის ვაჟია 1-ლი საშუალო სკოლის VII კლასის მოწვეულ პირიქია სახლის ლიტერატურის კანტატის წევრი.



მასწავლებელი სტალინურ ეპოქაში



აუტანელი და მძიმე იყო მასწავლებლის მდგომარეობა შავნელ წარსულში. სახალხო მასწავლებელი ჯანსუყვეტელ ღვინას, დამცირებას და მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა მშობნ. როცა შეფის უღელი მძიმე ტვირთად აწვა მშრომელეს, მასწავლებელი მშრომელთა გვერდში იდგა, იგი ხალხში მოწინავე, ნათელი აზრების მთესელი იყო. აი ამიტომ არ ფასდებოდა სახალხო მასწავლებლის უნაზრო შრომა და ამავე მეფის ზღლისუფლების მიერ. ან კი რაში ესაჭიროებოდა ბიუროკრატიულ მმართველს ნ. ლომურის, ს. მგალობლის, ვილის, ი. გოგებაშვილის მსგავსი მასწავლებლები, რომელნიც ხალხში კეთილის მთესველნი იყვნენ, რომელთაც იერის წყლული აჩნდათ წყლულად, ეწოდათ მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით ედაგოდათ მტკიცე გული“.

ნასწავლი გლეხი, გათვითცნობიერებული მუშა სამშრომლობას უქმნიდა მეფის წყობილებას. აი ამიტომ გლეხისა და მუშის შვილებისათვის სკოლის კარები წოდებრივი სხვაობის რყინით იყო გადაარაზული.

სახალხო მასწავლებელი ხელმოკლედ ცხოვრობდა, მისი გაჭირვების საუკეთესო სურათს გვაძლევს უკედავი პედაგოგი, ღირსეული ქართველი ი. გოგებაშვილი: „აუწერელია ის გაჭირვება, რომელშიც ჩაყვინდნენ სახალხო სკოლის მასწავლებლები. საქმე იქამდის მისულა, რომ ბევრს მათგანს ქლამების ფასიც კი ენატრებოდა და ფეხშიშველა დაიარებოდა. უფრო კიდევ უკიდურესია ამ მასწავლებელთა ოჯახის წევრთა მდგომარეობა“.

მასწავლებლებს, რაკი „კუთხოხული“ ბიუროკრატია არ ეხმარებოდა, იაკობ გოგებაშვილს გადაუწყვეტია შეწირულების სახით შექმნა ფოხდი ხელმოკლე მასწავლებელთა დასახმარებლად. თვითონ იაკობს 150 მანეთი ერთხელ და 250 მანეთი მეორედ შეუტანია „სამასწავლებლო კასის“ შესაქმნელად.

პეტიკრობ წყვეთლ წარსულზე, ადარებ მას ჩვენი ბრწყინვალე სტალინური ეპოქის მასწავლებელთა მდგომარეობასთან და ვანცვავრებულო ამ დასკვნამდე მიდიხარ: რა დიდი განსხვავებაა, რა დიდი უფსკრულია შავნელ წარსულსა და ბედნიერ აწყოას შორის!

მასწავლებლის შრომა ჩვენს ქვეყანაში სთიანადოდ არის დაფასებული. მასწავლებლის სახელს სიყვარულით იხსენიებს ჩვენი საზოგადოება. ვაციხსენით იატაკვეშელი ბოლშევიკის სიტყვები ფადეევის რომანიდან „ახალგაზრდა გეარდია“, „მასწავლებელი! უბრალო სიტყვა კი არ არის ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველა ბავშვი სწავლობს. მასწავლებელი ეს პირველი ადამიანია. ჩვენი შვილების, ჩვენი ხალხის მომავალი მასწავლებლის ხელშია... ჩვენ მოვალენი ვართ, მოვკრავთ თუ არა თვალს ქუჩაში მასწავლებელს 50 მეტრის მანძილიდან, მოვიხანდოთ ქუდი მის პატივსაცემად“...

დიდი ბელადი სტალინი მასწავლებელს სთვლის იმ მშრომელთა არმიის ყველაზე აუცილებელ ნაწილად, რომელიც აშენებს ახალ ცხოვრებას.

მასწავლებლის მდგომარეობა გენიალურად განსაზღვრა დიდმა ლენინმა, ჯერ კიდევ საბჭოთა ზღლისუფლების არსებობის პირველ წლებში: „სახალხო მასწავლებელი უნდა დავაყენოთ იმ სიმაღლეზე, რომელზედაც არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში“.

ლენინის აზრმა ფრთები შეისხა სტალინურ ეპოქაში ხალხთა დიდი ბელადის აზხანავ სტალინის მამობრივი ზრუნვის შედეგად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილებით დაწესდა მასწავლებლებისათვის, ნამსახურობის გამო, უშაღლესი ჯილდო — ორდენები და მედლები; პარტიისა და მთავრობის



მიერ გატარებულია მასწავლებელთა შატერიალური მდგომარეობის კიდევ უფრო გამაუმჯობესებელი ღონისძიებანი.

მასწავლებლებისადმი ამ სტალინურ ზრუნვას საზოგადოებრიობა აღტაცებით შეხვდა. განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია ამ მოვლენამ ბავშვებში. ისინი ამაყობენ, მათ უხარიათ, რომ ჭადარამოსილი მათი მასწავლებელი მეერთზე ორდენს ატარებს.

სტალინური ეპოქის მასწავლებელი, მადლიერი და კმაყოფილი თავისი მდგომარეობით გულმხურვალე მადლობას უძღვნის საყვარელ ბელადს, მშობლიურ სტალინს. მას-

წავლებლები მთელ საბჭოთა ხალხთან, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ერთგულად გრძლივ სიცოცხლეს უსურვებენ სტალინს და მისდამი უსაზღვრო სიყვარულით ნიშნად პირობას სდებენ შემდგომად გაათქვამული ენერჯით, თავდადებებით ემსახურონ ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

თამარ ამთიაშვილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

გ თ რ ი
პირველად ვიხილე

გორი პირველად ვიხილე,
ვნახე აკვანი ბელადის,
მინდოდა მისთვის მეკოცნა,
სიმშვიდე მსურდა, ვღელავდი.

მინდოდა დედა ბელადის
ახლაც ჩვენს გვერდით მდგარიყო,
არა მჯეროდა, რატომღაც,
რომ ის ცოცხალი არ იყო...

მოსულა გლეხი ლიტველი,
სტალინგრადელი ხარატი,
ახარებთ ქოხი პატარა,
სხივმოსილი და მარადი.

როცა სოფელში დავბრუნდი,
მე, აღტაცებულს, მჯეროდა:
ცისკრის მაგიერ ამ სახლის
